6181/3-125/21 2 17062021

6181/3-125/21
17-06-2021

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. დღეის მდგომარეობით რამდენი ადამიანი იხდის სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში და რამდენს აქვს პირობითი მსჯავრი (ცალ-ცალკე) შემდეგ ნივთიერებებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე:
ა) კანაფი - მცენარე კანაფის წვეროები ყვავილებით და ნაყოფით (ფოთლებისა და თესლების გარდა, რომელთაც თან არ ახლავთ მცენარის წვეროები);
ბ) კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი;
გ) კანაფის ზეთი - მცენარე კანაფისგან ნებისმიერი გზით მიღებული ზეთი;
დ) კანაფის ფისი - მცენარე კანაფისგან გამოყოფილი, გასუფთავებული ან/და გაუსუფთავებელი ფისი.
- დაკავშირებულ დანაშაულებზე.

2. დღეის მდგომარეობით რამდენი ადამიანი იხდის სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში და რამდენს აქვს პირობითი მსჯავრი (ცალ-ცალკე) ზემოაღნიშნულ ნივთიერებათა მცირე და დიდი ოდენობით (ცალ-ცალკე):
ა) შეძენაზე;
ბ) შენახვაზე;
გ) გადაზიდვაზე;
დ) გადაგზავნაზე;
ე) გასაღებაზე;

აგრეთვე, კანაფის:
ვ) დათესვაზე;
ზ) მოყვანაზე;
თ) კულტივირებაზე;

გთხოვთ, მიუთითოთ თითოეული პუნქტის შემთხვევაში მსჯავრდებულთა რაოდენობა ცალცალკე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი
National Statistics Office of Georgia
GEOSTAT

1309-7-2-202106211454

N 7-1309 21/06/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ იაგო ხვიჩიას

ბატონო იაგო,

თქვენი 2021 წლის 17 ივნისს N6181/3-125/21 წერილის პასუხად, გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რიცხოვნობის შესახებ. ამასთან, გაცნობებთ, რომ საქსტატი არ ფლობს წერილში მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას.

დანართი: 1 ფაილი (12.1 KB).

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge